რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 10 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 6 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 6

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

### ყოველ დღიურ გაზეთებზე

### „ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ზნამია ტრუდა"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს 24 მან., ნახევარი წლით—12 მან., ერთი თვით—2 მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

### ყველა რაიონების პარტიულ ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! უკიდურესი ფინანსიური სიკიწროვის გამო კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა რ. ს.-დ. მ. პარტიისამ 1917 წ. 31 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა შემდეგი: მიეცეს წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციებს, რომ წევრებმა ერთდროულათ გადასცონ ერთი დღის შემოსავალი. შეგროვილი ფული ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ კომიტეტის ხაზინადარს ამხ. აკოპ აკოპიანს (კავკასიის ბანკი).

საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ.).

## ჩაგრული მშრომელი ხალხის უფლებათა დეკლარაცია.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აქვეყნებს შემდეგ ძირითად დებულებებს: დამფუძნებელი კრება ადგენს:

1. რუსეთი გამოცხადებულია მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკათ. მთელი ძალა-უფლება ეკუთვნის როგორც ცენტრში ისე ადგილობრივათ ამ საბჭოებს.

2. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა არსდება თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირის საფუძველზე, როგორც ნაციონალურ რესპუბლიკების საბჭოთა ფედერაცია.

3. თავის ძირითად მიზნათ ისახავს ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობას, საზოგადოების კლასებათ დაყოფის სრულიათ გაქრობას, მჩაგვრელ-მყვლეფელთა შეუბრალებლათ დამორჩილებას, საზოგადოების სოციალისტურათ მოწყობას და ყველა ქვეყნებში სოციალიზმის დამყარებას.

შემდეგ დამფუძნებელი კრება ადგენს:

1. მიწის სოციალიზაციის განხორციელება. მიწის კერძო საკუთრება გაუქმებულია, და მიწის მთელი ფონდი გადადის მშრომელი ხალხის განკარგულებაში გამოუსყიდველათ მიწის სარგებლობის გათანასწორების საფუძველზე. ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები, მადნები და წყლები, აგრეთვე მთელი ცოცხალი და მკვდარი სამეურნეო ინვენტარი, ყველა სადგომები, სამეურნეო საწარმოო დაწესებულებანი გამოცხადებულია ნაციონალურ კუთვნილებათ.

2. მყარდება საბჭოთა მუშათა კონტროლი და ხალხთ მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, როგორც გამაერთიანებელი საფუძველი ყველა მშრომელი ელემენტებისა მჩაგვრელ-მყვლეფელთა დასამორჩილებლათ, როგორც პირველი ნაბიჯი იქეთკენ გადადგმული, რომ შემდეგში ყველა ფაბრიკები, ქარხნები, სამთო ადნო საშუალებანი, რკინის გზები და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი მუშათა და გლეხთა საბჭოების რესპუბლიკის სრულ საერთო საკუთრებათ გახდეს.

3. ყველა ბანკები მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებათ ცხადდება, როგორც ერთი პირობათაგანი, რომ მშრომელი მასსა კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებულ იქნას.

4. იმ მიზნით, რომ საზოგადოებას პარაზიტული, მუქთახორა ნაწილი გაქრეს და საზოგადო მეურნეობა მოეწყოს, შემოღებულ იქნება საყოველთაო შრომის ბეგარა.

5. მშრომელი მასსების ძალა-უფლების უზრუნველსაყოფათ და ექსპლოატატორების უფლების აღდგენის ყოველგვარ შესაძლებლობის გასაქრობათ უნდა გამოიცეს დეკრეტები: შეიარაღება მშრომელი ხალხის, შედგენა მუშათა და გლეხთა სოციალისტური წითელი არმიისა და ქონების პატრონ კლასების იარაღის სრულიათ აყრა.

სტ. 3 პ. 1. ვაცხადებთ რა მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ კაცობრიობა გამოვგლიჯოთ კლანჭებიდან ფინანსიურ კაპიტალს და იმპერიალიზმს, რომელიც ურიცხვი ადამიანის სისხლსა ღვრის მის მიერ წარმოებულ დღევანდელ უსაშინელეს და ხანგრძლივ ომში, დამფუძნებელი კრება სრულიათ უერთდება საბჭოთა მთავრობას და მხარს უჭერს მის პოლიტიკას: საიდუმლო ხელშეკრულებათა დარღვევა-უქმადებას, დამზობილების რაც შეიძლება ფართოთ მოწყობას მეომარ ჯარების მუშათა და გლეხთა შორის და როგორც უნდა იყოს აუცილებლათ დემოკრატიული, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავ-ს რევოლიუციონური გზით ჩამოგდებას, რაიცა ერთა თავისუფალ სრული თვითგამორკვევის საფუძველზე უნდა მოეწყოს.

პ. 2. იმავე მიზნით დამფუძნებელი კრება სრულიათ გაწყვეტს კავშირს ბურჟუაზიულ ქვეყნების იმ ბარბაროსულ პოლიტიკასთან, რომელიც, როგორც აზიის ას მილიონიანი მშრომელი მასის, ისე საერთოთ კოლონიების და მცირე ქვეყნების მშრომელი მასის დაჩაგვრადაბეჩავებას ემყარება. დამფუძნებელი კრება ცნობს სახალხო-კომისარების პოლიტიკას, რომელმაც ფინლიანდიის სრული დამოუკიდებლობა აღიარა, სპარსეთიდან ჯარების გამოყვანა გადაწყვიტა და სომხეთს თვითგამორკვევის სრული თავისუფლება მიანიჭა.

საბჭოთა მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ კანონს, რომელიც საზღვარ გარეთ მეფის მთავრობისგან აღებულ სესხის გაბათილებას შეეხება, დამფუძნებელი კრება ცნობს, როგორც პირველი მთავარ შემხლუდველ ზომას უცხოეთის ბანკის და ფინანსიურ კაპიტალის ბატონობისას, და ამასთანავე მას სწამს, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცე ნაბიჯით გასწევს ამ გზაზე, ვიდრე საერთაშორისო მუშათა კლასი კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყების დროშას არ აღმართავს.

პ. 3. რაკი თვით დამფუძნებელი კრება არჩეულია ხალხისგან იმ სიების მიხედვით, რომლებიც ჯერ ისევ ოქტომბრის რევოლიუციამდე შედგა, როცა ხალხის დაჩაგრულ მასას კიდევ არ შეეძლო მთელი თავისი ერთობრივი ძალით წინააღსდგომოდა ექსპლოატატორებს, ის კიდევ ვერ გრძნობდა, თუ რამდენათ დამაბრკოლებელ ძალას წარმოადგენდა ამ ექსპლოატატორების მისწრაფება, რომ თავიანთი კლასიური პრივილეგიები შეენარჩუნებიათ და ის პრაქტიკულათ ჯერ კიდევ არ შედგომია სოციალისტური საზოგადოების შექმნას, დამფუძნებელი კრება ძირითადათ და ფორმალური თვალსაზრისითაც კი უსაფუძვლოთ სცნობდა, რომ არსებითათ თავისი თავი საბჭოთა მთავრობისათვის დაეპირდაპირებია. ამიტომ დამფუძნებელი კრება ფიქრობს, რომ დღევანდელ მომენტში, როცა ექსპლოატატორების წინააღმდეგ აღამჩრელი ბრძოლა სწარმოებს, ძალა-უფლების არავითარ ორგანოში ამ ექსპლოატატორებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

ძალა-უფლება სრულათ უნდა ეკუთვნოდეს მხოლოთ მშრომელ მასსებს, სრულ უფლებიან წარმომადგენლობას მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისას. საბჭოთა მთავრობის მხარის დაჭერით და სახალხო კომისარების დეკრეტების ცნობით დამფუძნებელი კრება აღიარებს ზოგად საფუძველს სოციალისტური საზოგადოებისას, რომლის სადაო მხარეებს თვითონვე შეიმუშავებს და მასთან ერთათ ეცდება მართლაც თავისუფალი და ნებაყოფლობითი, მაშასადამე მტკიცე და სრული კავშირი დაამყაროს რუსეთის ყველა ერთა მშრომელ კლასთა შორის. დამფუძნებელი კრება ამ მხრით კმაყოფილდება მხოლოთ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის ძირითადი საფუძვლების გამოცხადებით რუსეთში, ხოლო რაც შეეხება ერებს, იგი თანახმაა, ყოველი ერის მუშებს და გლეხებს ნება ქონდეთ მიიღონ გადაწყვეტილება, საკუთარი სრულუფლებიან საბჭოთა სიეზდზე: სურს მას და რა პირობებში მიიღოს მონაწილეობა ფედერალურ მთავრობაში და სხვა საერთო ფედერალურ მუშურ დაწესებულებებში.

ყველა ზემოთ აღნუსხული დებულებანი წაკითხულ უნდა იქნეს საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლის მიერ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან.

## ზავი და რევოლიუცია.

დადუმებული დიპლომატები ამეტყველდენ. მოკავშირეებმა არ ისურვეს საერთო მოლაპარაკებაზე მოსვლა ბრესტში, სადაც მათ იწვევდა რუსეთის რევოლიუციონური მთავრობა, მაგრამ ისინი იძულებული გახდენ დაერღვიათ დამუნჯების პოლიტიკა, რომელსაც ისინი აწარმოებდენ უკვე დაწყებულ საზავო კამპანიის დროს და ხმა-მაღლა გამოეთქვათ თავისი პროგრამა საკუთარი ქვეყნის წინაშე.

უკვე გამოქვეყნდა დეპეშა, რომელიც შეიცავს ამერიკის პრეზიდენტის ვილსონის სიტყვას; თუმცა გვიან, მარა ჩვენ უკვე ვიცით მისი შინაარსი. მეორე დეპეშა გადმოგვცემს ლოიდ ჯორჯის სიტყვას, რომელიც წარმოადგენს ინგლისის ოფიციალურ აზრს ზავის შესახებ. (ამ დეპეშებს ერთი კვირა უმალავდენ კავკასიის მცხოვრებთ გეგეჭკორი და სხვა მენშევიკები).

ეს გარემოება ცხადათ მოწმობს, რომ მოკავშირეებიც იძულებული გახდენ ანგარიში გაეწიათ სახალხო კომისარების მიერ დაწყებულ საზავო კამპანიისთვის. ისინი არ მოვიდენ დანიშნულ ადგილზე, მარა სამაგიეროთ დანიშნულ ვადაზე კი იძულებული გახდენ თავისი პროგრამა საქვეყნოთ გამოეცხადებიათ.

ეს უეჭველი გამარჯვებაა რუსეთის რევოლიუციისა და ალბათ ამიტომ მალავდენ ამ ამბებს კავკასიის კონტრ რევოლიუციონერები. როგორც მოკავშირე, აგრეთვე მოწინააღმდეგე ქვეყნის იმპერიალისტები იძულებული ხდებიან მიემხრონ იმ საზავო კამპანიას, რომელსაც მედგრათ აწარმოებს მუშების და გლეხების მთავრობა დღიდან კერენსკის კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის დამხობისა.

რას შეიცავს ვილსონის და ლოიდ ჯორჯის პროგრამები? თავსა ახლათ ვერვინ იზობს, იმპერიალისტებიც იმპერიალისტებათ რჩებიან, მაგრამ ისინიც მიდიან დათმობის გზაზე, რამდენათაც ეს მათთვის შესაძლებელია.

ვილსონი საიდუმლო დიპლომატიის მოსპობასაც თითქოს ალტაცებით ეგებება. ყოველ შემთხვევაში ისიც მომხრეა მუშების და გლეხების მთავრობისა იმაში, რომ ყოველი მოლაპარაკება სწარმოებდეს აშკარათ, ხალხისგან დაუფარავათ. მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ დაურიდებლათ გამოაქვეყნა შეუხებელი ხელშეკრულობები, საიდუმლო დიპლომატიას სასიკვდილო ლახვარი მოხვდა და მისი აღდგენა უიმედო საქმეა, და ეს მით უფრო, რომ რუსეთის მთავრობა მტკიცეთ ადგია ამ მხრით თავის გადაწყვეტილებას და კიდევ ანხორციელებს მას. ვილსონი თავის თანხმობით მხოლოთ ადასტურებს საიდუმლო დიპლომატიის მოსპობის უკვე მომხდარ ფაქტს.

დიდი ცვლილება განუცდია იმპერიალისტების გულზვიად კილოს, რომლითაც ისინი ლაპარაკობდენ გერმანიის განადგურების შესახებ. დღეს ისინი აღარ მოითხოვენ ომს ბოლომდე გერმანიის იმპერიალიზმის და მილიტარიზმის დამხობამდე. გერმანიას ისინი სცნობენ განათლებულ ერათ, რომელსაც სრული უფლება აქვს შინაური ცხოვრება თავის სურვილისამებრ მოაწყოს.

მთელი მათი პროგრამა კი იმპერიალისტურია. ისინი მოითხოვენ ერთა თვითგამორკვევას, მაგრამ მხოლოთ გერმანიის ხარჯზე. ისინი იერთებენ ახალ ქვეყნებს თვით მცხოვრებთა დაუკითხავათ. ამავე დროს კრინტს არა სძრავენ საკუთარი დაჩაგრული ერების განთავისუფლებაზე.

როგორც გერმანია, ისე მისი მოწინააღმდეგეები ერთნაირ იმპერიალისტურ პროგრამას იცავენ. ამ მხრით სრულ მათ წინააღმდეგობას წარმოადგენს რუსეთის პროგრამა დემოკრატიული და სამართლიანი ზავის შესახებ. ბრძოლაა გამართული ამ ორი პროგრამის შუა. რომელს დარჩება გამარჯვება?

თავიდან ბოლომდე ყალბი და შეუწყნარებელია ის აზრი, ვითომ ეს საკითხი დამოკიდებული იყოს მეომარ ქვეყნების საომარ მდგომარეობაზე. პირიქით, იგი სავსებით დამოკიდებულია მათ რევოლიუციონურ მდგომარეობაზე.

სამხედრო ძლიერება სამართლიან ზავს ვერ დაამყარებს. რუსეთის ობორონცები, რომელთაც ამ გზით დააპირეს ზავის დამყარება და ივნისში შეტევა დაიწყეს, ზავის მრახლოვების ნაცვლათ ერთიანათ დაშორდენ მას.

მეორე მხრით სამხედრო ძალამ ვერ გადასჭრა საკითხი და ომის გათავება იმპერიალისტური პროგრამის მიხედვით შეუძლებელი ხდება. დღეს იმპერიალისტები აცხადებენ თავის პროგრამას, მაგრამ ომის გათავებას კი ვერ ახერხებენ.

მხოლოთ ოქტომბრის რევოლიუციამ დააყენა ზავის საკითხი ერთათ ერთ სწორ ნიადაგზე. ომი იმპერი ლისტებმა დაიწყეს, ხალხებმა უნდა გაათავონ. სხვა გზა არ არის.

ამ მხრით რუსეთის რევოლიუციამ სწორი გზა მონახა. მან საბრალმდებლო სკამზე დასვა მთელი ქვეყნის იმპერიალისტები და ჩვენება ჩამოართვა მათი მიზნების შესახებ. მათ უკვე მისცეს თავისი ჩვენება. მსაჯული ახლა თვით ხალხია. და აი რუსეთის რევოლიუცია უკარნახებს ყველა ხალხებს, რაც შეიძლება სასტიკი და შეუბრალებელი განაჩენი გამოიტანონ მათ საკუთარი იმპერი ლისტების, მთავრობების და გაბატონებული კლასების შესახებ. მათ დაიწყეს ომი, მარა ვეღარ ათავებენ მას; ომი უნდა შეიცვალოს რევოლიუციათ და მხოლოთ მით მოეღება მას ბოლო.

რუსეთის რევოლიუცია მეტათ აშკარა და ჩამოყალიბებულ გზას უჩვენებს ევროპის მშრომელ ხალხს. თუ გინდა მოსპო ომი, აუცილებლათ უნდა წახვიდე რუსეთის გზით, აუცილებლათ უნდა მოახდინო რევოლიუცია.

ასეთ დროს, თუნდ მცირედი რყევა რუსეთის მხრით, თუნდ მცირედი გადახვევა უკვე არჩეული გზიდან პირდაპირ დამღუპველი იქნებოდა როგორც მსოფლიო ზავისთვის, აგრეთვე რევოლიუციისთვის. მან მედგრათ უნდა განაგრძოს თავისი გზა და შეუბრალებლათ გადალახოს ყველა მისი შემაფერხებელი, თუნდ ეს დამფუძნებელი კრებაც იყოს.

რევოლიუციამ თავის გასამარჯვებლათ უეჭველათ უნდა დაამყაროს ზავი. ზავის დამყარება შეიძლება მხოლოთ რევოლიუციის გზით.

### ამერიკა ზავის შესახებ.

ვილსონის სიტყვა წარმოთქმული ვაშინგტონში 1918 წ. იანვრის 8-ს (ახალი სტილით).

ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა კვლავ განაცხადეს სურვილი ომის მიზნების გადასინჯვის შესახებ. ისინი თანახმანი არიან საყოველთაო ზავის ჩამოსაგდებათ შესაფერ ნიადაგის გამოსანახავად. ამ მიზნით მათ თანდასწრებით ბრესტლიტოვსკში მოლაპარაკებებიც სწარმოებდა. მაგრამ ცენტრალურ სახელმწიფოთა დელეგატების მიერ წამოყენებულ პროგრამით არა ემთხვოდა რა არც რუსეთის სუვერენიტეტს, არც ეროვნების მიზნებს. იგი აღნიშნავდა, რომ ცენტრალური სახელმწიფონი დაპყრობილ ადგილების ერთ მტკაველსაც არ დასთმობენ. მოლაპარაკება შესწყდა. რუსი დელეგატები რა თქმა უნდა არ იმსჯელებდნენ ისეთ წინადადებებზე, რომლებიც დაპყრობას და ბატონობას შეეხებოდნენ.

მთელი ინციდენტი მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამასთან ერთად მეტად ამაღელვებელი და რამდენიმე კითხვის გამომწვევი. ვისთანა ჰქონდათ მოლაპარაკება რუს წარმომადგენლებს? ვისი სახელით ელაპარაკებოდნენ ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი? რუსი დელეგატები მოითხოვდნენ, რომ მოლაპარაკება ფარული არ ყოფილიყო, მაგრამ ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ეს არ მოისურვეს.

მაგრამ ეხლა მაინც ყველამ ვიცით ცენტრალურ სახელმწიფოთა მიერ წამოყენებული მიზნები. ისინი კვლავ იწვევენ თავიანთ მოწინააღმდეგეთ, რათა მათაც გამოთქვან თავთავიანთი მიზნები. ჩვენ არავითარი მიზეზი არ მოგვეპოვება იმის წინააღმდეგ, რომ ამ გაწვევას სათანადო პასუხი არ გავცეთ. ის, ვისაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა ერის წინაშე არ შეეცდება ამ ჟამად კვლავ გააგრძელოს ეს ტრაგიკული და საშინელი სისხლის ღვრა და სიმდიდრის დაღუპვა, თუ იგი დარწმუნებული არ არის, რომ ის ერი, რომელთა სახელითაც იგი ლაპარაკობს, აუცილებლად სთვლის ომში შეწირულ მსხვერპლთა დაკლებას.

ამის გარდა ისმის ხმა, რომელიც მოითხოვს ამ მიზნების განმარტებას. ეს ხმა რუს ერის ხმაა. რუს ერის ძლიერება თითქოს შერყეულია, მაგრამ იგი ჯერ დამონებისაგან შორს არის. რუს ერმა უარი განაცხადა თავის იდეალების შეცვლაზე და თანაც არ მოისურვა, რომ სხვებს შეეცვალნათ იდეები საკუთარ უშიშროებისათვის. იგი გვთხოვს ვსთქვათ, თუ რა გვსურს ჩვენ და თუ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება.

ჩვენ ამ ომში ჩავერიეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დაირღვა ისეთი უფლებები, რომელთა დარღვევაც ჩვენს ერს ცუდად დააჩნდა. ქვეყანას ესაჭიროებოდა ერთხელ და სამუდამოდ ისეთ გარანტიების შექმნა, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ ასეთ უფლებათა დარღვევა აღარ გამეორდება.

ამიტომ ის, რასაც ჩვენ მოვითხოვთ, ჩვენთვის რაიმე განსაკუთრებითს არ წარმოადგენს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ქვეყანა მოწყობილი იქმნეს და არავითარ საფრთხეს არუმზადებდეს მშვიდობიანობის მოყვარე ადამიანს.

### ამერიკის საზავო პირობები.

ვილსონის მიერ ვაშინგტონში 8 იანვარს (ახ. სტ.) წარმოთქმულ სიტყვიდან.

1. საზავო ხელშეკრულებანი უნდა ყველასათვის გამოცხადდეს. მათ შემდეგ არ უნდა მოხდეს არარავითარი კერძო საერთაშორისო შეთანხმებით. დიპლომატიამ დაუფარავათ უნდა იმოქმედოს. მისი მოქმედება საზოგადო აზრს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

2. ყველას უნდა მიენიჭოს, ტერიტორიალურ წყლების გარდა, ყველა ზღვებზე თავისუფალ ცურვის უფლება. ამ უფლებით ვერ ისარგებლებენ მხოლოდ დაკეტილ ზღვებზე.

3. უნდა მოსპობილ იქნას შეძლებისამებრ ყოველივე ეკონომიური დაბრკოლება და ზღვის მსურველ ერთაშორის უნდა დამყარდეს ვაჭრობის პირობათა თანასწორობა.

4. უნდა შეიქმნას მტკიცე გარანტიები იმისა, რომ ხალხთა შეიარაღება შემცირდება იმ მინიმუმამდე, რაც შინაურ უშიშროებისთვის იქნება საჭირო.

5. ყველა სააახალშენო სარჩლის სრული უპარტიო გადაწყვეტა. ასეთ სუვერენიტეტის საკითხების გადაწყვეტაში დაინტერესებულ მცხოვრებთა ინტერესებს უნდა იმდენადვე გაეწიოს ანგარიში, რამდენათაც მთავრობათა სამართლიან გამოსარჩლებას.

6. მთელ რუსეთის ტერიტორიის ევაკუაცია. რუსეთის შესახებ ყველა საკითხები ისე უნდა გადასწყდეს, რომ უზრუნველ ყოფილ იქნას მისი რაც შეიძლება მალე, დამოუკიდებელ პოლიტიკური განვითარება და ეროვნული თვითგამორკვევა, რათა მან შესძლოს თავისუფალ ერთა კავშირში მოყოლა თავისავე მიერ შემუშავებულ კანონების ნიადაგზე.

7. როგორც მთელ ქვეყანას ჰსურს, ბელგია უნდა დაიცალოს და აღსდგეს ისე, რომ არ შეიზღუდოს მისი სუვერენიტეტი, რომლითაც ის სარგებლობს ყველა სხვა თავისუფალ ერებთან ერთად.

8. უნდა განთავისუფლდეს და აღდგენილ იქნეს საფრანგეთის მთელი ტერიტორია. უნდა გამოსწორდეს ის უსამართლობა, რომელიც მიაყენა გერმანიამ საფრანგეთის 1871 წელს ელზას ლოთარინგიის წართმევით, რომ ზავი საერთო ინტერესებზე დამყარდეს.

9. იტალიის საზღვრების გამოსწორება უნდა მოხდეს მცხოვრებთა ადვილად გამოსაცნობ ნამდვილ საზღვრების მიხედვით.

10. ავსტრია-უნგრეთის ერს უნდა მიენიჭოს ავტონომიურ განვითარების საშუალება.

11. უნდა დაცლილ იქნენ: რუმინია, სერბია და მთაშავეთი. უნდა აღდგენილ იქნენ დაპყრობილი ოლქები. სერბია უნდა იქნას, როგორც თავისუფალი მხარე—მას ზღვისკენ კარი უნდა მიენიჭოს. ბალკანეთის სახელმწიფოთა ურთიერთობა უნდა დაამყაროს მეგობრულ თათბირმ · უნდა განმტკიცდეს ბალკანეთის სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ ხელშეკრულობის საერთაშორისო გარანტიები.

12. უნდა უზრუნველ ყოფილ იქნას ოტტომანთა იმპერიის ოსმალურ ნაწილების სრული სუვერენიტეტი. უნდა უზრუნველყოფილ იქნას ოსმალთა მფლობელობის ქვეშ მყოფ ერთა ავტონომიური განვითარება. დარდანელი სამუდამოდ ღია იყოს გემთა თავისუფლათ გასასვლელათ და ყველა ერთა სავაჭრო საჭიროებისათვის.

13. უნდა განმტკიცდეს პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელშიაც შევლენპოლონურ ელემენტებით დასახლებული ყველა ოლქები. მისი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიალური ხელშეუხებლობა უნდა უზრუნველჰყონ საერთაშორისო შეთანხმებებმა.

14. ერთა საყოველთაო კავშირი უნდა განამტკიცოს იმ საგანგებო შეთანხმებამ, რომლის მიზანი იქნება დიდი და

პატარა სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ტერიტორიალურ დამოუკიდებლობის საურთიერთო გარანტიების მიხწევა.

---

## ინგლისის საზავო პირობები

**(ლლოიდ ჯორჯის სიტყვიდან)**

ქრისტეშობისთვის 23, ინგლისის პრემიერ მინისტრმა, ლლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში მთავრობის სახელით ომის მიზნების შესახებ შემდეგი განაცხადა: გერმანიის ერს ჩვენ ვებრძვით არა ვნების მისაყენებლად. გერმანელების ამოწყვეტა და გერმანიის აოხრება ჩვენ არასოდეს არ დაგვისახავს მიზნად. მთლად მოუმზადებელნი ამ ომისთვის, ჩვენ იძულებულნი გავხდით ჩავბმოდით საკუთარ და კაცობრიობის კანონების, ხელშეკრულებებით მიღებულ ვალდებულებათა დასაცავად, რომლებიც გათელეს გერმანელებმა ბელგიაში შემოსევით.

ნუთუ ჩვენ უნდა ხელ გაუნძრევლივ გვემზირა, თუ როგორ ლახავდა უხეში ძალა კაცობრიობის უფლებებს და საერთაშორისო კანონებს?

ჩვენ არასოდეს აზრად არ მოგვსვლია შევცილებოდით გერმანიას იმ სახარბიელო მდგომარეობაში, რომელიც მან მოიპოვა ქვეყანაზე, მაგრამ ჩვენ გვსურდა დაგვერწმუნებინა გერმანია, რომ მილიტარიზმით ბატონობის მოპოება უარ ეყო.

ჩვენ არ განგვიზრახავს ავსტრია-უნგრეთის შემუსვრა. ჩვენ აზრად არ გვქონია ოსმალეთისათვის კონსტანტინეპოლი და მცირე აზიაში და ფრაკიაში უმეტესად ოსმალთაგან დასახლებული მდიდარი ადგილები წაგვერთმია. ჩვენ არ ჩავბმულვართ ომში არც იმისთვის, რომ შევცვალოთ გერმანიის იმპერია ლისტური კონსტიტუცია, თუმცა მას ჩვენ მე-20 ე საუკუნის საშიშ ანაქრონიზმად ვთვლით.

ჩვენის აზრით გერმანია ჭეშმარიტ-დემოკრატიულ კონსტიტუციის მიღებით დაამტკიცებდა თავის კეთილ სურვილებს და მასთან მაშინ დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებაც გაადვილდებოდა. მაგრამ ეს თვით გერმანიის ერმა უნდა გადასწყვიტოს.

მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ შეეკითხვიან თვით ნეიტრალური სახელმწიფონიც კი ომის მიზნების შესახებ ცენტრალურ სახელმწიფოებს ან ცივ სიჩუმით უპასუხნიათ ან და სწორი განმარტება არ უღირსებიათ ისეთ მეტად მნიშვნელოვან საკითხის შესახებაც კი, როგორიც არის ბელგიის საკითხი. გერმანიის უკანასკნელ საზავო პირობებში ვკითხულობთ, რომ გერმანია არავითარ შემთხვევაში უარს არ განაცხადებს თავის ახალშენზე.

თუ თვითეული ეროვნება ყოველივე ღონეს არ იხმარს ეროვნულ პატიოსნების დასაცავად,—ნათელია, საზავო ხელშეკრულება იმ ქაღალდათაც არ ეღირება, რომელზედაც იგი დაიწერება, ამიტომ პირველ საზავო პირობათ ინგლისი და მისი მოკავშირენი აყენებენ:

1. ბელგიის სრულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და ტერიტორიალურ დამოუკიდებლობის აღდგენას და შეძლებისამებრ შემუსრულ ქალაქების და პროვინციების ზარალის ანაზღაურებას.

2. სერბიის, მთაშავეთის და მტრის მიერ დაპყრობილ საფრანგეთის, იტალიის და რუმინიის ნაწილების აღდგენას.

3. ჩვენ მტკიცეთ გადავწყვიტეთ არ უღალტეთ საფრანგეთის დემოკრატიას, რათა წარვხოცოთ 1871 წელს ჩადენილი უსამართლობა, რომლითაც საფრანგეთის ორი პროვინცია გერმანეთს შეუერთდა. ვიდრე ეს დანაშაული არ გამოისყიდება, შეუძლებელი იქნება ნორმალურ პირობების აღდგენა.

4. ჩვენ არ განვიხილავთ გერმანელების მიერ დაპყრობილ რუსეთის ადგილების საკითხებს და არ შევეცდებით მათ გადაწყვეტას, იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ გერმანიამ რუსეთში დაპყრობილი მდიდარი ოლქები და ქალაქები დასთმოს. დღეიდან ეს პროვინციები პრუსიის შემადგენლობაში შევლენ და მათ გამგედ გერმანიის დაჯავშნული მუშტი იქნება. რუსეთის დანარჩენი მცხოვრებნი, კი ზოგი მყვირალა ფრაზების ზეგავლენით, ზოგიც ომის გაგრძელების შიშით დარჩება გარმანიის ჯერ ეკონომიურ და შემდეგ პოლიტიკურ მონობაში.

5. ჩვენ, როგორც ამერიკა, საფრანგეთი და იტალია, მზად ვართ ხელი ხელ ჩაკიდებულებმა რუსეთის დემოკრატიასთან ერთათ ვიბრძოლოთ, მაგრამ, თუ რუსეთის ეხლანდელი მმართველები ჩვენგან დამოუკიდებლათ იმოქმედებენ, ჩვენ ვერ შევძლებთ იმ კატასტროფის აცილებას, რომლისკენაც მეიქანება რუსეთი. მას მხოლოდ თვით რუსეთის ერი იხსნის. ამისდამიუხედავად ჩვენ გვწამს, რომ დამოუკიდებელი პოლონეთი, რომელიც გააერთიანებს ჩველა ნამდვილ პოლონურ ელემენტებს, საჭირო აღმოსავლეთ ევროპის პირიანობისათვის.

6. ჩვენ ვეთანხმებით პრეზიდენტ ვილსონს, რომ არ არის ჩვენი მიზანი ავსტრიის დანაწევრება, მაგრამ გვგონია, რომ თუ ავსტრია-უნგრეთის ყველა ერებს ჭეშმარიტი დემოკრატიული თვითმართველობა არ მიენიჭათ—ევროპის ამ ნაწილის მშვიდობიანობა არ ჩავოვრდება.

7. ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე იტალიელების სამართლიან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

8. ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე, რომ დაკმაყოფილებულ იქნენ რუმინელ ერის სამართლიანი მოთხოვნილებანი.

9. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სრული ეროვნული დამოუკიდებლობა მიენიჭოთ არაბეთს, სომხეთს და მესოპოტამიას.

10. რაც შეეხება გერმანელთა ახალშენებს,—მე არა ერთხელ მითქვამს, რომ, მათი ბედი კონფერენციის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. კონფერენციამ კი უპირველეს ყოვლისა ახალშენებში ძირეულ მობინადრე ერების სურვილებს უნდა გაუწიოს ანგარიში

11. სასურველია და აუცილებელიც, რომ ზავის პირობები არ დარჩეს ომის ნასახი, რათა შემდეგ პირიანი ზავი მეფობდეს.

12. სამართლიან და პირიან ზავზე იმედები მაშინ უნდა ვიქონიოთ, თუ შემდეგი სამი პირობა იქნება მიღებული:

1. უნდა აღდგენილ იქმნენ ყველა დარღვეული ხელშეკრულებანი.

2. ტერიტორიალური საკითხი უნდა გადასწყდეს თვითგამორკვევის საფუძველზე და მმართველთა თანხმობით.

3. ჩვენ უნდა შევქმნათ რაიმე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც გაადვილებს ომის სიმძიმეთ. ბრიტანიის იმპერია სალამს შესძლვნის ამ პირობებზე შეკრულ ზავს. ამ პირობების მისაღწევათ ბრიტანიის ერი არავითარ მსხვერპლს არ დაერიდება.

---

## კონტრ-რევოლიუციონერთა თარეში კავკასიონის მთებში.

(კავკავის მუშათა და სალდათთა საბჭოების თავმჯდომარის მოხსენებიდან).

„კავკასიის არმიის“ მეორე სიეზდის დელეგაცია რომ კავკავში გამოცხადდა, უკვე გვიანღა იყო. მოლაპარაკებაზე სიტყვის თქმაც აღარ შეიძლებოდა

კონტრ-რევოლიუციონერები და მათგან აშლილ—აღძრული მთის ხალხის მასსები რევოლიუციის დროებითი კრიზისით სარგებლობას შეუდგენ. მათი ერთი ნაწილი აშკარა „პოგრომულ“ გზას დაადგა, ხოლო მეორე ნაწილი, უფრო აგრარულ ნიადაგზე აღძრულ მტრობაშუღლით გაელენთილი პირდაპირ ომს შეუდგა მეზობელ ერების წინაალმდეგ.

საქმე იმით დაიწყო, რომ დარიალის ხეობიდან დაწყებული ვიდრე კასპიის ზღვამდე მოსახლე მთიელები შეერთდენ: თერგის და დაღესტნის მრავალნაირი ხალხი, რომელთაც მაჰმადის რჯულთან ერთათ მეზობელ ერებისადმი მძულვარება-მტრობა აერთიანებს: ჩეჩენი, ინგუში, ქისტი, ლეკი და სხვები „უცხოელების“ საწინაალმდეგოთ შეერთდენ და თავი „ცალკე სახელმწიფოთ“ გამოაცხადეს. ამ სახელმწიფოს „თერგ-დაღესტნის სახელმწიფო“ დაარქვეს და მისი ბელადები თავის ბრბოებით მეზობელ ერების წარმომადგენლებს მიესიენ. ისინი ერთი მხრით რომ შეუბრალებელ „პოგრომებს“ ახდენენ, მეორე მხრით პარტიზანულ ომს ეწევიან. თუ სანამდე მივიდა მათი თავხედობა იქიდანაც სჩანს, რომ „კონტრ-რევოლიუციონური“ დონის მთავრობაც კი მათ წინაალმდეგ ზომების მიღებას ფიქრობს.

ჩეჩნებმა ჯერ ისევ ნოემბერში მთელი ქ. გროზნი და მისი მრეწველობა სულ ერთიანათ გაანადგურეს.

ლეკებმა და სხვებმა გროზნი—პეტროვსკის რკინის გზა თითქმის სულ აყარეს; ამ უკანასკნელ დღეებში ქ. მოზდოკსაც მისწვდენ და მის მიდამოებში მოსახლე ყაზახობას ომი გამოუცხადეს.

კავკასიონის მთიელთა შეერთებულმა ლაშქარმა უპირველესათ რუსის ჯარს გამოუცხადა ომი და როცა მას იარაღი აჰყარა და თერგ-დაღესტნის საზღვრებიდან გააძევა, შემდეგ მეზობელ ყაზახობის აკლებასაც შეუდგა. მარა, რადგან ყაზახობამ სოფლები ასაკლებათ არ დაანება, მათ შორის ნამდვილი ომი გაჩაღდა. მთელი კავკასიის ქედის აღმოსავლეთის ნაწილზე რუსის ჯარის გარნიზონები მხოლოთ ორ ციხეში დარჩა. გუნიბში და უდენოში და ამ ციხეებსაც დღეს ალყა აქვს შემორტყმული; მართალია ბაქოს მუშათა კომიტეტის განკარგულებით 800-მდე ჯარისკაცი გაგზავნეს პეტროვსკიდან მისაშველებლათ, მარა ეს მცირე ძალა რას გააწყობდა სისხლ მოწყურებულ ნახევრათ ბარბაროს მთიელთა წინაალმდეგ?

ამნაირათ გათამამებული და ორივე მხრიდან, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე დონის მხრიდანაც ზურგ გამაგრებული, მთიელი კონტრ - რევოლიუციონური ბრბოები თავაშვებულ თარეშს შეუდგენ და სწორეთ იმ ხანებში, როცა კავკასიის არმიის მეორე სიეზდის დელეგაცია მივიდა იქ, ჯერი მიდგა თერგის მხრის, კავკასიონის დედა ქალაქის, კავკავის აოხრებაზე.

და მართლაც იმ დროს, როცა საგანგებო სხდომა ჰქონდა გამართული ხსენებულ დელეგაციის თანდასწრებით მუშათა და სალდათთა საბჭოს, მთელი ლაშქარი კონტრ-რევოლიუციონურ აფიცრების წინამძღოლობით თავს დაესხა და გაფანტა იგი. წინასწარ გადაწყვეტილების თანახმათ მათ დაატყვევეს, როგორც საბჭოს თავმჯდომარე, ისე სხვა მეთაურებიც. დელეგაციის ერთმა წევრმა გაქცევა მოასწრო; ხოლო ოთხი ამხ. დატყვევებული წაიყვანეს და როცა ამ დატყვევებულების გამო კავკავის მუშებმა თავი გამოიდვეს და ქალაქს საერთო გაფიცვით დაემუქრენ, გამძვანვარებულ „ბანდების“ ბელადებმა მათი დატყვევებულების ამოჟლეტა გადასწყვიტეს, მაგრამ ადგილობრივი მუშების დახმარებით როგორღაც დატყვევებულ ამხანაგთ ტყვეობიდან გაქცევა მოუხერხდათ და ამნაირათ ისინი სიკვდილს გადარჩენ. არიციან მხოლოდ რა ბედი ეწვია დელეგაციის წევრს, რომელსაც სასიკვდილოთ ეძებდენ და რომელმაც იმ წუთებში გაქცევით თავს უშველა. მუშათა საბჭოს ყოველნაირი ქონება დაიტაცეს, შემდეგ შეუდგენ მოქალაქეთა ქონების დატაცებასაც. ქალაქს სოფლებიდან მოყვანილ ურმები გარს ერტყა. ტვირთავდენ ამ ურმებს გატაცებული ნივთებით და მთებში მიჰქონდათ. მოხდა შეტაკებებიც. ამბობენ ერთ ადგილას 60 მოქალაქე ამოწყვიტესო. სხვა მოწინააღმდეგე ძალა ქალაქში არ აღმოჩნდა. ჯარისკაცნი და მუშები ქალაქიდან გავიდნენ, რაკი დაინახეს, რომ მისი დაცვა აღარ მოხერხდებოდა; ასე რომ ყველაფერი გამარჯვებულ მოთარეშე მთელ ბარბაროსთ ხელთ ჩაუვარდათ.

აქ მოხდა ერთი საყურადღებო მოვლენა. როგორც ვიცით კავკავი უმთავრესათ ოსური ქალაქია და უნდა ვიფიქროთ, რომ თარეშის დროს უმთავრესათ ოსები დაზარალდებოდენ; ამის გარდა ოსები შედარებით სხვა მთიელებთან უფრო კულტურული ხალხი არის და რუსეთთან კავშირის მტკიცე დამცველიც. ამიტომ არის ეს ხალხი არ თანაუგრძნობს დანარჩენ მთიელების რუსეთისგან გამოთიშვის მოქმედებას. აწიოკება-თარეშში, თავდასხმაში, როგორც ვსთქვით კონტრ-რევოლიუციონურ აფიცრებთან ერთათ არის ხალხის ყაჩაღური ელემენტებიც მონაწილეობას იღებდენ; და აი ნადავლის გაყოფის და ძარცვის დროს ოსებსა და სხვა მთიელებ შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

ყველა ზემოთ დასახელებულ მიზეზების გამო იფეთქა ოსების წინაალმდეგ მიმართულმა სხვა მეზობელ მთიელების მძულვარებამ და ამნაირათ მათ შორისაც ომი გაჩაღდა.

ასე რომ დღეს ჩეჩენ—ინგუშ-ლეკი ებრძვის ჩრდილოეთით რუსებს და ყაზახებს, ხოლო თვით კავკასიონის მთებში ოსებს, რომლებმაც რუსებთან კავშირი აღიარეს.

---

# მუშათა წერილები.

### თბილისის დღეები.

მკითხველმა მე მგონი კარგათ იცის, თუ რა კვეხით და რა რიხით გამოაცხადა ახალმა გამომცხვარმა საქართველოს დამცველმა „მთავრობამ“ თავისი „პრიკაზი“ და მოწოდება რომ თბილისში უნდა იყოს დაცული წესიერება და არ უნდა ხდებოდეს ის, რასაც დღეს ვხედავთ რუსეთშიო. მართლაც საზოგადოება გულმოდგინეთ ელოდებოდა „მთავრობისგან“ წესიერების დაცვას და ცხოვრების თავის კალაპოტში ნორმალურათ მსვლელობას და აი კიდევაც დაინახეს მთავრობის მიღებულ ზომები. პირველ ყოვლისა „მთავრობამ“ მიიღო შესაფერი ზომები 29-30 ნოემბრის

დღეებში, ანარქიის თავიდან ასაცილებლათ მოახდინა განკარგულება არსენალზე თავდასხმის შესახებ, გააცალიერა არსენალი თოფ-იარაღ-ტყვია-წამლიდგან, დაურიგა ეს იარაღი ყველას, ვისაც შეხედა, გააძლიერა დარაჯთა რიცხვი, შეადგინა „წითელი გვარდია", გამოაცხადა სამხედრო წესები. ერთი სიტყვით მთავრობა მოიქცა ისე, როგორც მას შეფეროდა და არა თფილისის რეალურ ცხოვრებას.

ვინ არ იცის რომ 29 30 ნოემბრის დღეებამდე არც ამდენი სროლა ისმოდა ქალაქში, არც კაცისკვლა, არც ძარცვა გლეჯა, არც პანიკა საზოგადოებაში. რას ვხედავთ დღეს ჩვენ? რისი მოწამენი ვართ? აქაც ხომ ბოლშევიკების „ავანტიურას" არ აქვს ადგილი? ეს ფრიად საზარელი და საშინელი ამბები თავის თავათ ლაპარაკობენ ჭეშმარიტ ფაქტებზე. უფლება გვაქვს შევეკითხოთ „მთავრობას", რა მიზნით მოახდინა მან არსენალზე თავდასხმა და გააცარიელა იგი? რათ შეიარაღა ხალხი და ვის წინააღმდეგ? რომელი ელემენტებიდან და კლასებიდან შედგებიან დარაჯები?

თუ კი მეტი ძალა არ შესწევდა, რომ მოეწესრიგებინა თბილისის საქმე, რათ გამოაცხადა სამხედრო წესები? ყველა ამ საამდროვო და საჭირბოროტო საკითხებს ბადებს დღევანდელი საშინელი პირობები. სალი ჭკუით ასე ითქმის, რომ არსენალი იმიტომ გააცალიერეს და შეაიარაღეს არა კეთილ-საიმედო პირები, რომ გაზშირებულიყო ავაზაკობა ხოცვა ჟლეტა და ფეხი მოეკიდნა სასტიკ ანარქიას კავკასიაში. მაშ რას ნიშნავს მისთანა ამბები? მაგალითათ ქუჩაში სიმღერა, არონისკვრა, რევოლვერების სროლა-ყვირილი, პანიკა, რომელიც იქნენ გამოწვეული არსენალის გაძარცვის მეოხებით? ვინ არღვევს წესიერებას თუ არ თვით ვითომდა „წესიერების დამცველები"? სამხედრო წესები მხოლოთ ქაღალდზე არსებობს და არა ცხოვრებაში. სად იყო ამდენი თოფ-იარაღი ტყვია-წამალი 29—30 ნოემბრამდე. ვის შეუძლია უთავდებოს თავის თავს,—დილით წავიდეს და საღამოს მშვიდობით დაბრუნდეს სახლში დღეს? ყველას შიშის აჩრდილი სდევს უკან. ახლა ვის გინდათ მოახვიოთ თქვენი ბრალი თავზე?

ამას წინათ ერთმა მენშევიკების მეექვსე რაიონის წევრმა რ. მ. ამილოთ თავის საწევრო ბილეთი № 29 და მაჩვენა, თანაც შემომჩივლა: აი მე პარტიის წევრი ვარ, ვმუშაობ მე მგონი არავისზე ნაკლებს, ჩვენ ებრაელებში (წევრი თითონ ებრაელია) ჩემსავით თავგამოდებულათ არავინაც არ მუშაობს, არა ერთხელ ვმჯდარვარ ციხეებში პოლიტიკურ საქმეზე, მაგრამ ჩვენმა საზოგადოების დამცველმა კომისიამ არ სცნო საჭიროთ დაებრუნებინა ჩემი ფულით ნაყიდი რევოლვერი. რომელიც „ობლავის" დროს სექტემბრის თვეში ნებართვის უქონლობისა გამო ჩამომართვეს. საქმე იმაშია, რომ 27 ნოემბერს ვიყიდე რევოლვერი „ბრაუნინგი" 350 მანეთათ და 30 სექტემბერს განცხადება მივეცი აღმასრულებელ კომიტეტს მოეცით ჩემთვის ნებართვა, ახლა მე ჩემს რევოლვერს არ მიბრუნებენ, არც უნდათ გადიხადონ მისი ფასი და ათას ნაძირალა-არამზადებს კი აძლევენ იარაღს და იწვევენ საშინელ ამბებს თბილისშიო. არ ვიცი რით გათავდება საქმეო დაამთავრა მოსაუბრემ მწუხარების კილოთი.

აი ასე იქცევა ჩვენი კავკასიის „მთავრობა". ვისთვის არის დაფარული დღეს ის ფაქტი, რომ ამდენი უწესოება, ღამ-ღამე სროლა, კაცის კვლა და ძარცვა გლეჯა გამოიღებს თავის ნაყოფს? ეხლაც ხომ ბოლშევიკებს არ უხელმძღვანელებიათ აქ? იმისი არა იყოს, „ბოლშევიკების ბრალია ჯარი ფრონტიდან გაქრაო" მაგრამ ეს სიტყვები სინამდვილესთან ისე არიან დაშორებული, როგორც ცა ხმელეთს.

ამათ ავიწყდებათ ის, რომ არ ცნობა რუსეთის მთავრობისა, უკუ გდება მისი ლოზუნგებისა ნიშნავდა რუსის ჯარის უარის თქმას და მათგან გამოყოფას. ნუთუ თვით ჯარმა არ იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ქონდა დამოუკიდებელი მთავრობის შექმნას? უნდა ვიცოდეთ ყველამ, რომ თუ დაიღუპება საქართველო, ეს ახალი გამომცხვარი მთავრობის მეოხებით. ზემოთ ჩამოთვლილი გადადგმული ნაბიჯები მთავრობის მიერ აშკარათ ასურათ ხატავენ მომავალ შედეგებს. თუ არა რუსეთიდან მოწყვეტა, მისგან ჩამოშორება, არც დაირღვეოდა ჯართა მთლიანობა, თუ არა 29-30 ნოემბრის ამბები. არც იქნებოდა ამისთანა არა სასურველი შედეგები. მაგალ. სროლა დღე და ღამ, განუწყვეტელი, კაცის კვლა ძარცვა გლეჯა და სხ. თუ არა თქვენ, არც იქნებოდა ასულდგმულებული მკვდარი კონტრ-რევოლიუციონერები, თუ არა თქვენი დემაგოგია, არც დაგვიანდებოდა სიმართლის მიწვდენა ხალხის ყურებამდის.

დიახ თქვენ გამოიწვიეთ ყველა ესენი, თქვენ შექმენით საზარელი პირობები, გამოიწვიეთ კიდეც შესაფერი შედეგები და თქვენ უნდა აგოთ პასუხი ხალხის წინაშე.

რა მან.

# პროვინცია

**ს. ერკეთი** (გურია) 2 იანვარს იყო მოწვეული ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარის კაცთა კრება მთელი ერკეთის საზოგადოებისა; პირველ ამ თვეს ჩვენი ორგანიზაციის წინადადებით იქმნა ამ ზემოხსენებულ კრების მომზადებულათ შესახვედრათ შეერთებული კრება მოწვეული, როგორც მენშევიკების, ისე ჩვენიც, რომელიც შესდგა საღამოს. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. გრ. მგალობლიშვილი რომლის მოხსენების შემდეგ ლაპარაკობენ სხვადასხვა ორატორები. აგრეთვე მოხსენებას აკეთებს ამხ. ლევ. რამიშვილი. შემოდის ორივე პარტიიდან წინადადება. მიღებულ იქნა ერთხმათ წინადადება ამხ. გრ. მგალობლიშვილის მიერ წამოყენებული: იქნეს ორივე პარტიიდან არჩეული წარმომადგენელნი, სამ-სამი ამხანაგი, რომლებსაც ევალება გაუკეთონ მოხსენება და მისცენ კრებას რევოლიუციონური მსვლელობა. მეორე დღეს იკრიბებიან ჯარის კაცები, თავმჯდომარეთ ირჩევენ ამხ. ჯარის კაცს, უშანგი მამალაძეს (ბალშევიკი) და მდივნათ ამხ. მიტროფანე მამალაძეს ესეც ჯარისკაცია (ბალშევიკი). დღის წესრიგი იქმნა შემუშავებული.

1. მოხსენებები.
2. იარაღის საკითხი.
3. „პოსოებიის" შესახებ.
4. რეორგანიზაცია.

1. მოხსენებას აკეთებს ჯ. კ. ჩანტიძე წინადადებას იძლევა გაარკვიონ კითხვები. შემდეგ სიტყვას ღებულობს ამხ. გრიგოლ მგალობლიშვილი და მოუწოდებს ჯარის კაცებს, როგორც რევოლიუციის მამოძრავებელმა ძალებმა, ანგარიში გაუწიონ ყველაფერს რევოლიუციონურათ, წინდახედულათ და რაც დასაგმობი იქნეს, შეგნებულათ დაჰგმონ და რაც კი სამართლიანია, გაამართლონ შემდეგ გადადიან კითხვებზე „პასობიის" შესახებ. იქმნა ყველა სოფლიდგან 2 ჯარის კაცი და ერთი სოფლის მუშა არჩეული, რომლებსაც ევალება ანგარიში გაუწიონ, ვის ერგება კანონის ძალით „პასობია" ამათ ევალებათ კონტროლი გაუწიონ და მოაგვარონ, როგორც იქნება საჭირო. იარაღის საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო. გამოირკვა, რომ ჯარის კაცებს იარაღი მოაქვთ სოფლათ, როგორც დროებით თავისუფალთ, აგრეთვე ოტპუსკებშიდაც რომ მოდიან. რის გამო მშვიდობიანი მცხოვრებნი მეტათ შიშს და უხერხულობას განიცდიან. (ეს იგულისხმება ნაწილზე, რადგან წარა-მარა ისვრიან. ამასთან დღევანდელ მომენტში ტყვილა უპრალოთ იწვის აუარება ტყვია წამალი, რომელიც დიდ ზარალს წარმოადგენს მთელ რუსეთისათვის. რომ ავაზაკობამ, რომ თავი არ იჩინოს. კრება ერთხმათ არდგენს: ვისაც იარაღი უკვე აქვს მოტანილი სოფლათ, მიუხედავათ კეთილ საიმედოებისა, ვალდებულია ჩააბაროს ადგილობრივ ერთ-ერთ ორგანიზაციას. ვუსურვებთ, რომ ასეთი ნაბიჯი სხვაგანაც გადაედგათ, რომ სხვა დაბა-ქალაქების შეგნებული ჯარის კაცები ასე მოქცეულიყვნენ.

ძველი ბალშევიკი.

**ს. შემოქმედი** (გურია) ავტორიტეტ დაკარგულს მენშევიზმს გურიაშიც ეკარგება ნიადაგი. ამის დამამტკიცებელია ის, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციები და ჯგუფები თანდათან მრავლდებიან.

25 დეკ. ს. შემოქმედშიც მოხდა შემოქმედის რაიონის ბოლშევიკური ჯგუფის დამფუძნებელი კრება. ამ კრებაზედ აირჩიეს ამხ. ბ. სიმონიშვილი, ოზურგეთის საოლქო ბოლშევიკურ კონფერენციაზედ გასაგზავნ დელეგატად.

თუმცა ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ აქაური მენშევიკ-ლიდერები (კერძოდ შემოქმედის), რომ ბოლშევიკებს ფეხი არ მოეკიდნათ მათ (მენშევ.) ციხე-სიმაგრე—გურიაში და კერძოდ შემოქმედში, მაგრამ გვიანღა არის. მშრომელი დემოკრატია კარგად მიხვდება, ვისთანა აქვს მას საერთო: მენშევიკებთან, სადაც თავმოყრილია ჩარჩ-სპეკულიანტები, თუ ბოლშევიზმთან, რომელიც შესდგება მოწინავე გლეხებისაგან, ჯარისკაცებიდგან და სხვა ტვირთ-მძიმეთაგან.

ლადო ბარამიძე.

**ხიდისთავი.** (გურია) ხუთშაბათს 21 ქრისშობისთვეს უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის შენობაში მოხდა ხიდისთავის რაიონის ბოლშევიკების კრება, რომელზეც გამოცხადდა დაახლოვებით 40 ორგანიზაციულათ შეკავშირებული პარტიის წევრები. დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები:

1). მოხსენება გურიის ბალშევიკების კონფერენციის დელეგატისა.
2). პარტიის წევრების მიღება.
3). იაჩეიკების მოწყობა სოფლათ.
4). იაჩეიკებში მეცადინეობა.
5). მუდმივი კორესპონდენტის არჩევა.

მოხსენებას აკეთებს დელეგატი ამხ. ელ. კალანდაძე, რომელიც მოკლეთ აცნობს კრებას კონფერენციის დადგენილებას, რომელსაც კრება სიამოვნებით იზიარებს. პარტიის წევრებათ მიღებული იქნა 10-კაცამდე. იაჩეიკების მოწყობის შესახებ კრებამ გადაწყვიტა გურია დაყოს შემდეგ სოფლებათ, რომელშიაც უნდა დაარსდეს იაჩეიკები: ს. ზენობანში ევალება ამხ. გრ. ღუმბაძეს, ახალჩენში: ერ. ჩიგოგიძეს და პ. მეღუას, ბუკნარში: ა. გოგიბერიძეს; დანარჩენ სოფლებში კი ზოგიერთში მოწყობილია: მაგ. წიფნაგვარა-პაიქესოულზე უკვე შესდგა იაჩეიკა, რომელიც ჯერ-ჯერობით შესდგება 20 წევრებისაგან დღიდგან დაარსებისა, ვიმედოვნებთ ცოტა ხანში 40-მდე შეიქნება. სოფლათ იაჩეიკებში უნდა მოხდეს მეცადინეობა. წიფნაგვარა-პაიქესოულმა უკვე გადასდგა ნაბიჯი და გადიან კომუნისტურ მანიფესტს, რადგან ის დროს შეკაბამება. ხიდისთავის რაიონულმა კრებამ მუდმივ კორესპონდენტათ აირჩია ამხ XX.

ელ. ყარაჩოღელი.

## სალდათის წერილი.

კავკასიის ძირითადი პარკიდან 16 ქრისტიშობის თვეს მე გამათავისუფლეს როგორც სალდათი 19 წლისა. მივედი ქალაქის სადგურზე, მოვიტანე ჩემი ბარგი და უცდიდი ღამის 12 საათის მატარებელს. უნდა წავსულიყავ გორში როგორც იქაური. 9 საათზე ერთ მატარებელზე ხალხი ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა ადგილის დასაჭერათ. ერთ რუსის სალდათს მიუცვივდნენ ორი პეტრუელი ქართველი სალდათები და შტიკები დაუმიზნეს გულზე, რადგანაც ის ფანჯრიდან მიდიოდა მატარებელში. მე რომ ეს დავინახე, მივედი და უთხარი,—ამხანაგებო, ჟანდარმულათ რათ იქცევით მეთქი. ამის გულისთვის წამიყვანეს ვაგზლის კომისართან. სეკრეტარმა მიცნო, რომ მე კავკასიის ძირითადი პარკის სალდათი ვარ, და გააცნო კომისარს ჩემი თავი როგორც ბალშევიკი. კომისარმა დაიწყო ბალშევიკების ძაგება უწოდა მათ ანარქისტები. მე ჩემი მხრიდან იმის წინააღმდეგ გამოვთქვი აზრი ამ დროს მათმა გაგზავნილმა „[illegible]" კარებიდან მესროლა რევოლვერი და დამჭრა მარცხენა ფეხში; სამ წელიწად ნახევარი პოზიციაზე ვიყავი და გადავრჩი; ახლა, როდესაც მეგონა მეშველა მეთქი, ამ ხათაბალას შევეშთხვიე. არავინ ყურადღება არ მომაქციე. წავედი გორში. კერძო ექიმმა ბევრი მოითხოვა, სამხედრო გოსპიტალში მივედი და იქაც ასე მითხრეს,—თუ ქართულ პოლკში ჩაეწერები მხოლოთ მაშინ მოგარჩენთო. ახლა მკითხველნო თქვენ გასაჯეთ: სამწელიწად ნახევარი ვემსახურე სიმართლეთ, ახლა რა მინდა დეზერტირებთან, რომელთაც ეპატიჟათ დეზერტირობა და იმისთვის ზურგს უმაგრებენ „კრიაზებსა". არა მე ვერ ვიზამ მათსა რიგებთან ერთათ დავიწყეთ წმინდა რევოლიუცია და ერთათ გავათავოთ.

მაშ გაუმარჯოს მთელი რუსეთის რევოლიუციას, გაუმარჯოს პეტროგრადის მთავრობასა.

კავკასიის ძირითადი პარკის ყოფილი
ჯარისკაცი პაპუშვილი

10 იანვარს, ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე ავლაბრის კლუბში (კახეთის ქ. № 1) გაიმართება

## ლექცია:

ჩვენი დამოკიდულება მობილიზაციასთან და ეროვნულ პოლკებთან; წაიკითხავს ამხ. ფილიპე მახარაძე. შესვლა უფასოა.

## განცხადება.

რ. ს.-დ მ. პ. უმრავლესეთა (ბალშევიკების) ოზურგეთის კომიტეტი აცხადებს თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე: 1) ქალაქის აფთიაქის გამგე ფილიპე ცხომელიძესთან და 2) მართ ლომინაძესთან დღის 3 საათიდგან საღამოს 6 საათამდე ჯაბა მაჭუტლაიშვილის სახლში, თეატრის გვერდით.